

იუთუბარხი - „Fin(e)Edu“

შესავალი

მოდით, ჯერ ვისაუბროთ იმ გამოწვევებზე, რაც გვაქვს და პრობლემის არსებობის მიზეზებზე, ხოლო შემდეგ კი გადაჭრის პოტენციურ გზაზე ანუ ჩემს იდეაზე.

ფაქტია, რომ ფინანსური განათლების საწყისების ცოდნა პრობლემას წარმოადგენს არა მარტო ქართველ ახალგაზრდებსა და თინეიჯერებში, არამედ უფროს თაობაშიც კი. ფაქტია, რომ ფინანსური ცოდნა მასშტაბურად არ არის გავრცელებული. რა შეიძლება იყოს ამის მიზეზი? დღესდღეობით არსებობს იუთუბი, სადაც სხვადასხვა არხზე შესაძლებელია ინფორმაციის მიღება; არსებობს ფინედუს გვერდი, არსებობს ხანის აკადემია. თითოეული მათგანი საბაზისო ცოდნას იძლევა, რაც ძალიან კარგია. თუმცა ამ გვერდებს ერთი, ნაკლებად თვალშისაცემი ნაკლი აქვთ, კერძოდ, ამ საიტების მომხმარებლები უმეტესად მხოლოდ ისინი არიან, ვისაც სურთ, რომ ფინანსური განათლება მიიღონ, ვისაც სჭირდებათ ეს განათლება და, ფაქტობრივად, აუცილებლად უნდა ისწავლონ. სხვა, ასე ვთქვათ, „ნეიტრალური“ სეგმენტი ამ რესურსებს ნაკლებად ან საერთოდ არ იყენებს და შესაბამისად ცნობიერების ზოგადი დონის ამაღლებაშიც ვერ დაგვეხმარებიან ამჟამინდელი რესურსები. მოკლედ, ვთანხმდებით, რომ რაღაც ახალია საჭირო...

შემდეგი, რაზეც დაგვიქრდი არის ის, თუ რა არის საჭირო განათლების ამ კუთხით ასამაღლებლად: პირველად თავში მომივიდა აზრი, რომ საჭირო არის სანდო და გადამოწმებული ინფორმაციის არსებობა. კი, ეს მართალია, მაგრამ მეტი დაფიქრების შემდეგ გავანალიზე, რომ კიდევ უფრო მნიშვნელოვანი არის იმაზე ფიქრი, თუ როგორ გავავრცელოთ ეს სანდო ინფორმაცია ახალგაზრდებში, როგორ მივაწვდინოთ მათ ხმა, როგორ გავხადოთ მიმზიდველი და როგორ შევუქმნათ მათ სტიმული, რომ ნახონ ვიდეოები ფინანსურ საბაზისო თემებზე მაშინაც კი, როცა მათ ეს თემები ნაკლებად ან სულაც არ აინტერესებთ. სწორედ აქ გაჩნდა მთავარი კითხვა - „როგორ?“. ფაქტია, რომ ფინედუს და თუნდაც მსგავსი თემატიკის გვერდები მასობრივად ვერ მუშაობენ, რადგან ისინი სტიმულს ვერ აღძრავენ „ნეიტრალურ“ მოქალაქეებში, რომ ვიდეო ჩართონ, ან თუნდაც ინფორმაცია მოიძიონ სხვადასხვა თემაზე. და სწორედ აქ გავიფიქრე, რომ *ჩვენ ბევრს ვითხოვთ ფინანსური ინსტიტუტებისგან* - ანუ რას ვგულისხმობ : ვგულისხმობ იმას, რომ მათი საქმე არის სანდო და ხარისხიანი ინფორმაციის შექმნა, რასაც ძალიან კარგად გაართმევენ თავს, მაგრამ ამ ინფორმაციის გავრცელება უკვე მათ აღარ შეუძლიათ და სწორედ აქ გვჭირდება ვინმე მესამე პირი, რომელიც ამ მესიჯებს მიიტანს ახალგაზრდებთან და ზოგადად, მოქალაქეებთან - და სწორედ ამ მსჯელობისას გამიჩნდა იდეა, რომ ეს „მესამე პირი“ თავისუფლად შეიძლება იყოს: იუთუბერები, ინფლუენსერები, ცნობილი ადამიანები, კომიკოსები, მომღერლები, ინტელექტუალები, ჟურნალისტები და მოკლედ ყველა, ვინც პოპულარობით სარგებლობს საზოგადოებაში...

„Fin(e)Edu“ - იდეის აღწერა

დავუშვათ, ფინედუმ შექმნა თავისი იუთუბარხი (ვიცი, რომ დღესაც აქვს, მაგრამ ამის წერის პროცესში მას მხოლოდ 53 გამომწერი ყავს და 62 ვიდეო უდევს), სადაც დებს მოკლე ვიდეოებს, სხვადასხვა ფინანსური ცნებების შესახებ. თუმცადა ამ ვიდეოებს ბევრი მნახველი არ ყავს. ახლა დავუშვათ, რომ რომელიმე თემაზე ვიდეო ჩაწერილია არა ფინედუს მიერ, არამედ რომელიღაცა იუთუბერის ან სხვა განხრით ცნობილი ადამიანის მიერ და სწორედ ის ხსნის რომელიმე თემას - აი, ამ შემთხვევაში მაყურებელთა რაოდენობა აშკარად გაიზრდება, რადგან ვიდეოს ამ ადამიანის გამომწერებიც ნახავენ. ახლა წარმოიდგინეთ, რომ ჩვენი ფინედუს იუთუბარხი არა ერთი ცნობილი ადამიანის ვიდეოებისგან შედგება, არამედ სხვადასხვა ინფლუენსერებისგან, იუთუბერთან წყვილებისგან, მომღერლებისგან, სპორტსმენებისგან და ა.შ. სწორედ ისინი ახმოვანებენ FineEdu-ს მიერ შედგენილ სანდო ინფორმაციას და ამით საგრძნობლად ზრდიან მომხმარებელთა რაოდენობას, რადგან ახლა მაყურებელს უჩნდება სტიმული, ნახოს ვიდეო, სადაც მისთვის საყვარელი და ცნობილი ადამიანი მონაწილეობს. ამ იდეის აზრი ისაა, რომ ჩვენ შევქმნით სივრცეს, სადაც მოხდება ცნობილი ადამიანების მოწვევა-კოლაბორაცია, რაც მომხმარებლების რაოდენობას ბუნებრივად გაზრდის და ზოგადად გაიზრდება ვიდეოების ნახვაც და ინფორმაციაც გაცილებით მასშტაბურად გავრცელდება. ეს იქნება ბუნებრივი პროცესი, რომელიც მომგებიანი იქნება მასში ჩართული ყველა მხარისთვის. აი, რატომ იქნება მომგებიანი, ამას შემდეგ გვერდზე ავხსნი.

პოტენციური Q&A-ის სესია

-რატომ მაინცდამაინც იუთუბი?

-იმიტომ, რომ ჩვენი მთავარი თარგეთი არის ახალგაზრდობა და დღესდღეობით მათი უმრავლესობა სწორედ იუთუბს იყენებს აქტიურად. რა თქმა უნდა, შესაძლებელია ფეისბუქის და სხვა სოც.ქსელების გამოყენება, თუმცა ვფიქრობ, რომ ისინი ძირითადად დამხმარე გვერდები უნდა იყვნენ და მთავარი როლი მაინც იუთუბს დაეკისროს, რადგან მრავალფეროვანი და ხარისხიანი ვიდეო-კონტენტისთვის ამ ეტაპზე იუთუბი საუკეთესოა.

-რატომ უნდა გაწიოს ფინედუმ ხარჯი ამ იდეის სრულყოფისთვის ანუ იუთუბგვერდის შექმნისთვის, ცნობილ ადამიანებთან დაკავშირებისთვის, გვერდის აქტიურად მართვისთვის და ა.შ?

- იმიტომ, რომ ჩვენი მიზანია ინფორმაციის გავრცელება. ბუნებრივია, რაც უფრო ხელმისაწვდომია რესურსი და ინფორმაცია, მით უფრო იზრდება ალბათობა იმისა, რომ მოქალაქე მას გამოიყენებს. თან არ დაგვავიწყდეს ისიც, რომ ამ ინფორმაციის მიწოდება ხდება (მიწოდება ხდება სტილისტური ხარვეზია, უკაცრავად:)) ცნობილი ადამიანების მიერ, რაც თითქმის გარანტირებულს ხდის იმის დაშვებას, რომ ახალი გვერდის გარეკლამებას შედეგი მალე მოჰყვება. მაგალითად, დღეს იუთუბზე არის ისეთი არხები, როგორებიცაა: ოქტოპუსი, საექვო კაცი, გიორგი დანელიას გვერდი და ა.შ. მათ საკმაოდ ბევრი გამომწერი ჰყავთ და უმეტესობას თინეიჯერები და ახალგაზრდები შეადგენენ, ანუ ზუსტად **ის თარგეთი, რომელსაც გვინდა ინფორმაცია მივაწოდოთ**. თუ მათი შემქმნელები ჩაწერენ ვიდეოს სხვადასხვა ფინანსურ ტერმინსა და მოვლენაზე, ბუნებრივია, ამას უფრო მეტი ნახვა ექნება, ვიდრე იმ შემთხვევაში, თუ ვიდეოს თვითონ ფინედუმ გააკეთებდა. სწორედ ამიტომ ღირს ხარჯის გაწევა. თავის მხრივ, ეს ხარჯიც მინიმალური იქნება, რადგან ჩვენ არ გვჭირდება რაიმე ახალი ალგორითმისა თუ აპლიკაციის შექმნა - უბრალოდ, ვიყენებთ იმას, რაც უკვე პოპულარული და მარტივად გამოსაყენებელია. საქმე გვექნება იუთუბგვერდის მართვასთან, რაც კოლოსალურ ხარჯებთან ნამდვილად არ არის დაკავშირებული.

პ.ს. ხარჯის დათვლაც გაცილებით ადვილი იქნება თუნდაც იმიტომ, რომ ფინედუმს უკვე აქვს იუთუბგვერდი და რაღაც დოზით გამოცდილებაც გააჩნია.

-რატომ დათანხმდებიან ცნობილი ადამიანები ამ პროექტში მონაწილეობას?

-პირველ რიგში იმიტომ, რომ პროექტი საგანმანათლებლოა და დადებით ემოციებს აღძრავს. მეორე მიზეზი არის ის, რომ ეს მათთვის ფაქტობრივი ბენეფიტი იქნება, რადგან შანსი ეძლევათ ურთიერთობა უფრო მარტივად დაამყარონ სხვა ცნობილ ადამიანებთან - ვგულისხმობ იმას, რომ მაგალითად, შესაძლებელია სხვადასხვა იუთუბერებმა ან ინფლუენსერებმა ერთად ჩაწერონ ვიდეო, ეს დაეხმარება მათ, რომ თვითონაც მოიზიდონ ფოლოვერები, გახდნენ უფრო

პოპულარულები და მაყურებლების სხვა თარგეთზე გავიდნენ. ასევე, რადგან ვიდეოები მოკლე იქნება, მათთვის დიდი პრობლემა და დროის დაკარგვა არ იქნება მათში მონაწილეობა, გადაღება და მონტაჟი, რაც კიდევ დამატებითი სტიმულია მონაწილეობისთვის. ამასთანავე, ჩვენი პროექტი იქნება ახალი სიტყვა იუთუბზე, რადგან მსგავსი ფორმატით ანუ ცნობილი ადამიანების ჩართულობით - როგორც მე მოვიძიე - ფინანსურ განათლებაზე არსად საუბრობენ. იუთუბის პლატფორმა და სამყარო კი მოხარულია მსგავსს სიახლეებში მონაწილეობისთვის - თან ეს პროექტი, როგორც უკვე აღვნიშნე, საგანმანათლებლო ხასიათისაა და ეს ფაქტორი კიდევ უფრო მეტ სტიმულს აძლევს ყველას, რათა ჩაერთონ და უფრო მეტად გახდნენ ცნობილი მსგავსი პოზიტიური საქმის კეთებით.

-რატომ გახდება ჩვენი გვერდი ყურებადი და პოპულარული?

- ცნობილი ადამიანების „ეფექტზე“ უკვე ვისაუბრე. ახლა შევხვით არხის შინაარსს : აუცილებლად გვექნება მრავალფეროვანი კონტენტი. მოწვეული ადამიანები ახსნიან სხვადასხვა ფინანსურ ცნებებს, ტერმინებს, მაგრამ ეს არ იქნება მხოლოდ ახსნა და მეტი არაფერი - არა. ისინი შეეცდებიან თავიანთი ცხოვრებიდან გაიხსენონ ისტორიები, რომლებსაც შემდეგ ამ ფინანსურ იდეებთან დააკავშირებენ, ანუ ის ადამიანები შეინარჩუნებენ თავიანთი თხრობის სტილს და იმ ნიშას, რომლითაც არიან პოპულარულები. ჩვენ შევცდებით, რომ ინფორმაციის მიწოდება მაქსიმალურად რეალობასთან მორგებული გავხადოთ და ამით კიდევ უფრო დავაინტერესოთ მაყურებელი. ასევე გვექნება ინტერვიუები, ბლიც კითხვები, ქვიზები. ასევე იქნება ე.წ. battle-ები ცნობილ ადამიანებს შორის, ანუ ჩვენ შევამოწმებთ თუ რამდენად კარგად ერკვევიან ისინი ფინანსურ სამყაროში. მსგავსი ფორმით ინფორმაციის მიწოდება, ჩემი ღრმა რწმენით, ძალიან საინტერესოა. შევცდებით ეს ყველაფერი იყოს სახალისო, საინტერესო და მიმზიდველი მაყურებლისთვის.

აგრეთვე, ჩვენ შევინარჩუნებთ აქტიურობას იუთუბზე და სხვადასხვა სოც. ქსელებზე. დავდებთ ვიდეოებს დროის მოკლე ინტერვალებში. ეს აქტიურობა გაზრდის ჩვენი დაფარვის არეს და უფრო მეტი ადამიანისთვის ვიქნებით ხელმისაწვდომი.

სიადვილის თვალსაზრისით, ყველა ვიდეოს დამთავრებისას შეგვიძლია დავუროთოთ ჩვენი მთავარი გვერდის (ამ შემთხვევაში ფინედუს) ლინკი, ასევე შევქმნათ პატარა სავარჯიშოები ამ თემებზე და მათი ლინკიც გამოჩნდეს ვიდეოს დასრულებისას (მსგავს მეთოდს იყენებს იუთუბ არხი - Marginal Revolution University და ძალიან წარმატებითაც).

ამ ყველაფერთან ერთად მთავარია, რომ შევქმნათ კარგი დიზაინი ჩვენი გვერდისთვის და ხარისხიანი ვიზუალური გაფორმება ვიდეოებისთვის (ვიზუალური ახსნა დიდ ადგილს იკავებს თანამედროვე სწავლებაში და ამ კუთხითაც ეს იდეა კარგად ეხმიანება ამ მეთოდს). სამწუხაროდ, დიზაინზე ამაზე მეტს ვერ ვიტყვი, რადგან კონტენტის შექმნისგან განსხვავებით დიზაინის ნაწილში ვერ ვერკვევი და, შესაბამისად, კომპენტენტურიც არ ვარ.

-რა პოტენციურ რისკებთან შეიძლება იყოს დაკავშირებული ამ იდეის განხორციელება?

-სიმაღლესი ითქვას, იდეის მთელი ხიზლი ისაა, რომ ის ძალიან მარტივია. ჩვენ არ ვქმნით რაიმე ახალ ალგორითმს ან პროგრამას, რაც შეიძლება პოტენციურ დიდ ზარალთან იყოს ასოცირებული. ჩვენ, უბრალოდ, ვიყენებთ არსებულ რესურსებს, ვთხოვთ მონაწილეობას ცნობილ ადამიანებს, ვაერთიანებთ ამ რესურსებს და ვქმნით ახალ მასალას, რომელიც გადამოწმებულია ჩვენს მიერ, ხოლო გავრცელებული - საზოგადოების ცნობილი წევრების მიერ. დამეთანხმებით, ამ იდეას არანაირი ფაქტობრივი ზარალი არ ახლავს თან და უფრო მეტიც - ჩემი აზრით, ყველაზე უარეს შემთხვევაშიც კი, იმაზე მეტი მაყურებელი და მომხმარებელი გვეყოლება, ვიდრე დღეს არის ამ კუთხით. ყველაზე ცუდ შემთხვევაშიც კი გავზრდით ფინანსური თემებისადმი დაინტერესებას ახალგაზრდებში. აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, ყველანაირი რისკი გაბათილებულია და პრაქტიკულად რაიმე სახის რისკი მართლა არ არსებობს იუთუბგვერდის გაკეთების პროცესში.

რაც შეეხება სუსტ მხარეს: პირველი რაც თავში მომდის ისაა, რომ შეიძლება ცნობილ ადამიანებთან დაკავშირება რთული გახდეს მათი მხრიდან დროის ან სხვა ფაქტორების გამო. თუმცა ამ პრობლემის მოგვარების გასაღები, ფინანსურ ენაზე რომ ვთქვათ, „პროტოკოლის დივერსიფიკაცია“ - ანუ ჩვენ დავეუკავშირდებით რაც შეიძლება მეტ ცნობილ სახეს და ეს საგრძნობლად შეამცირებს იმის რისკს, რომ ვინმე ვერ ვიპოვოთ - რაც მეტს დავეუკავშირდებით, მით მეტი მსურველი გამოჩნდება. ძირითადად, მხოლოდ ეს არის, რაც შეიძლება რისკთან ან სუსტ მხარესთან იყოს დაკავშირებული, მაგრამ, ფაქტია, რომ მათი მოგვარებისა და დაბალანსების გზების პოვნა საკმაოდ ადვილია.

-და მაინც რატომ იქნება ეს იდეა ეფექტური, რა ფაქტორები განაპირობებს მის წარმატებას?

-რადგან ზოგადად უკვე ვისაუბრე მთელ იდეასა და მუშაობის პრინციპზე, ახლა შევეცდები მოკლე შეჯამება გავუკეთო და მთავარი მახასიათებელი თვისებები გამოვყო:

- ✓ იდეის განხორციელების სიმაღტევე
- ✓ თინეიჯერებსა და, ზოგადად, ახალგაზრდებზე მორგებული
- ✓ მინიმალური დანახარჯებით ინფორმაციის მაქსიმალურად გავრცელების შესაძლებლობა
- ✓ პრობლემის თანამედროვე გადაწყვეტა, ვიზუალური-ვიდეო სწავლება.
- ✓ საზოგადოების ჩართულობის ამაღლება ახალგაზრდების სწავლების პროცესში
- ✓ მოკლევადიან პერიოდში : ინფორმაციის მასშტაბურად და სწრაფად გავრცელება
- ✓ გრძელვადიან პერიოდში: ფინანსური განათლების კუთხით ცნობიერების ამაღლება ახალგაზრდებში და ამასთანავე რაღაც სახის მატერიალური ბენეფიტიც კი იუთუბისგან, რომელიც საკმარისი შეიძლება იყოს არხის მართვის ხარჯების დასაფარად.

მადლობა ყურადღებისთვის!